გვ.#2542.

ერთი წლის წინად—19[illegible] წლის 5 დეკემბერს, სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქში, მოსკოვში, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის მიერ ერთხმად მიღებული[illegible]ნა სსრ კავშირის ახალი სტალინური კონსტიტუცია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის ათდღიური ორგანო.

5
დეკემბერი
1937 წ. № 27 (114)

შესანიშნავი თარიღი

დიდი სტალინი, გასულ[illegible]ის 25 ნოემბერს, საბჭოების მ[illegible]გებო ყრილობაზე გამოვიდა თ[illegible] ბრწყინვალე მოხსენებით ახალი [illegible]ონსტიტუციის პროექტის შესახებ.

170 მილიონი მშრომ[illegible] გული სიხარულით ფეთქდა ბე[illegible]ს ისტორიული მოხსენების ცეცხლ[illegible]ანა და ყრი-

ყრილობამ 10-დღის [illegible]მაზე ერთხმად ლობის უკანასკნელ ს[illegible]ლინური კონსიქნა მიღებული — **ტიტუცია.**

ეს იყო 1936 წ[illegible]-დეკემბერი.. ეს თარიღი საბჭოთა [illegible] ჩაიწერა ოქროს ხალხების ისტორი[illegible]ციალიზმის ძლევაასოსებით, რადგან [illegible] დღეს ელირსა. მოსილი ქვეყან[illegible]ლებითა და თავგრანდიოზული [illegible]ის შედეგად, გადადებული მუ[illegible]ალიზმის შედეგად მარჯვებული ს[illegible]ხთა დიდ ქარტიას მოპოვებულ [illegible]იტუციას. **სტალინურ კო**[illegible]მა საბჭოების სრუ- დიდმა **სტა**[illegible]ო საგანგებო მე-8- ლიად საკა[illegible] პრინციპული ყრილობაზე [illegible]მელიც არსებობს სოგანსხვავება [illegible] დემოკრატიზმისა და ბუციალისტუ[illegible]ონსტიტუციების დემოკრჟუაზიულ[illegible]ის. რატიზმს

რომ ბ[illegible]უაზიული კონსტიტუციები ჩვეულე[illegible] კმაყოფილდებიან, იმით, რომ ფ[illegible] უშვებიან მოქალაქეთა უფლებ[illegible] ფ[illegible]მალურად და არ ზრუნავენ [illegible] ფ[illegible]ორციელების საშუალებებზ[illegible]5 მოქალაქეთა თანას- [illegible]მას, რომ [illegible]ლიბელია [illegible] და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის არსებობდეს ნამდვილი თანასწორობა.

[illegible]ში მდგომარეობს **სტალინური კონსტიტუციის თავისებურება?** ეს მდგომარეობს იმაში, რომ იგი სცნობს არა მხოლ[illegible] მოქალაქეების ფორმალურ უფლ[illegible]თა ფიქსირებას, უბრალოდ არ ა[illegible]ებს მათ, არამედ კიდეც უზრუნველყოფს მას, გარკვეულ საკანონმდებლო წესით, უზრუნველყოფს მას გარკვეული მატერიალური საშუალებებით.

[illegible]ციალიზმის ქვეყნის სრული გამა[illegible]ვების შედეგად ჩვენი არჩევნები, რო[illegible]ლსაც ჩაატარებს დიდი საბჭოთა კა[illegible]რი იქნება საყოველთაო, თანასწორ[illegible], პირდაპირი, ფარული კენჭისყრ[illegible], რომელიც ძირფესვიანად განსხვა[illegible]ება თვით ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებისა და საარჩევნო სისტემისაგან.

მრავალ კაპიტალისტურ ქვეყნებში, არა მარტო — ქალები, ჯარის კაცები, მცირე ერები არიან მოკლებული არჩევნებში მონაწილეობასა და ხმის მიცემის უფლებას, არამედ სტუდენტებიც იმ საბაბით, რომ ვითომც სტუდენტებმა უნდა ისწავლონ და მათი საქმე არ არის გაყვენ პოლიტიკას, მაგრამ სინამდვილეში კი იმავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში შემოღებულია განათლების ცენზი, რაც ბორკავს და საშუალებას არ აძლევს ასეულ ათას წ.-კ. უცოდინარ მშრომელს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

ჩვენთან კი არჩევნები საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორია. **სტალინური კონსტიტუციისა** და მის საფუძვლებიდან გამომდინარე ს. ს. რ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების თანახმად საბჭოთა კავშირის ორივე სქესის მოქალაქე, ვისაც არჩევნების დღისათვის შესრულებული აქვს 18 წელი არჩევნებში მონაწილეობისა და თვითონ არჩევის საშუალებებით გარანტირებულია.

სტალინური კონსტიტუცია უკვე ერთი წლისაა და მისი ცეცხლით ანთებული მილიონთა გულები სიხარულით ფეთქავენ და ყველა მშრომელთათვის სანატრელ დღეს 12 დეკემბერს სიხარულით მოელიან.

მაგრამ გამარჯვებული სოციალიზმის მკვიდრები წუთითაც არ ივიწყებენ იმას, რომ—„რაც უფრო მეტი წარმატებანი გვექნება, მით უფრო გაბოროტდებიან განადგურებული ექსპლოატაციური კლასების ნაშთები, მით უფრო წავლენ ისინი ბრძოლის უფრო მწვავე ფორმებზე, მით უფრო ავნებენ ისინი საბჭოთა სახელმწიფოს, მით უფრო ჩასჭიდებენ ხელს ბრძოლის ყველაზე უფრო გააფთრებულ საშუალებებს, როგორც განწირულთა უკანასკნელ საშუალებებს". **(სტალინი).**

ამისათვის საჭიროა მუდამ ვიყოთ ფხიზელი და დროზე გამოვააშკარავოთ ფაშიზმის საზიზღარი ლაქიები, მისი მოსყიდული აგენტები.

გაუმარჯოს **სტალინური კონსტიტუციის** 1-წლის თავს და მის შემომქმედს —**დიდ სტალინს.**

გაუმარჯოს **სტალინის** ერთგულ მოწაფეს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას.**

სერგეი მირონის-ძე კიროვი

(1934 წ. 1 დეკემბერი—1937 წ. 1 დეკემბერი).



სამი წლის წინათ კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის მიერ გასროლილმა ტყვიამ ლენინურ-სტალინურ პარტიას და საბჭოთა ხალხს მუხანათურად გამოგლიჯა ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, პარტიისა და ხალხის საყვარელი შვილი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

კიდევ უფრო ავამაღლოთ ბოლშევიკური სიფხიზლე! საბოლოოდ მოვსპოთ ტროცკისტულ-ბუხარინული ფაშისტური ხროვა, გავაცამტვეროთ სამშობლოს მოღალატეები!

სერგეი მირონის-ძე კიროვი დაიბადა 1886 წლის 27 (15) მარტს ქ. ურჟუმში, პრიურალიეს ერთერთ ყველაზე უფრო მივარდნილ ქალაქში. ქარხნებსა და ტყეებში, რკინიგზიდან ძალზე დაშორებული, განმარტოებით იდგა ვიატკის გუბერნიის ურჟუმი — გადასახლების ადგილი ცარიზმის დროს.

სერიოჟა კოსტრიკოვის ოჯახი, ისე როგორც ურჟუმის ათობით სხვა ოჯახები, ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. სერიოჟას მამამ, მირონ კოსტრიკოვმა, ადრე დასტოვა ოჯახი. სამუშაოს საძებნელად ურალისაკენ გაემართა და იქ დაიკარგა უგზო-უკვლოდ. სერიოჟა 4 წლისაც ძლივს იქნებოდა, რომ მამა დაეკარგა. სერგეის დედა ეკატერინე კუზმას-ასული ჭლექისაგან გარდაიცვალა, როდესაც მისი ვაჟი 7 წლის იყო. სერიოჟა კოსტრიკოვი ბავშვთა თავშესაფარში მოათავსეს. უსიხარულოდ მიდიოდა სერიოჟას ბავშვობა ობოლთა თავშესაფარში.

15 წლის კოსტრიკოვი თავშესაფარიდან გამოვიდა და ყაზანის ტექნიკურ სასწავლებელში შევიდა. აქ იგი ამჟღავნებს შესანიშნავ ნიჭს და არაჩვეულებრივ სულიერ თვისებებს, გულხმიერებას ამხანაგებისადმი, გულწრფელობას ურთიერთობაში — თვისებებს, რომლებითაც გამოირჩეოდა კიროვი მთელ თავის სიცოცხლეში.

ყაზანში ყალიბდება სერგეი მირონისძის პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ურჟუმში, სადაც იგი არდადეგებზე ჩადიოდა, უახლოვდება პოლიტიკურ გადასახლებულებს. აქ ის ეცნობა არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას, ბეჭდავს რევოლუციურ ფურცლებს და ამხანაგებთან ერთად ჰფანტავს მათ ბაზრებში, ქუჩებში, გზებზე.

ყაზანში, სადაც სერიოჟა კოსტრიკოვი შვებულებიდან დაბრუნდა, ცდილობს გააბას კავშირი რევოლუციონერებთან, [illegible] არალეგალურ ორგანიზაციებს.

1904 წელს იგი ამთავრებს ყაზანის ტექნიკურ სასწავლებელს და მიემგზავრება ციმბირში, ტომსკში. აქ იგი შედის სოციალ-დემოკრატების რიგებში, არალეგალურ წრეებში კითხულობს ვ. ი. ლენინის შესანიშნავ ნაშრომს „რა ვაკეთოთ?" ლენინის აზრები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს სერგეი მირონის-ძეზე. ახალგაზრდული აღგზნებით და ენერგიით ეწევა იგი აგიტაციას მუშებში, ეწევა ლენინური მოძღვრების პროპაგანდას, ავრცელებს და ბეჭდავს რევოლუციურ ფურცლებს.

იწყება ქარიშხლიანი 1905 წელი. 9 იანვარს, „სისხლიანი კვირის" გამოძახილი მთელ ქვეყანაში გაისმა. აზვირთდა გაფიცვათა ტალღა. კიროვი ტომსკის პროლეტართა რევოლუციური ბრძოლის ცენტრშია. ტომსკის მშრომელი ხალხი ქუჩებში გამოვიდა წითელი დროშებით. სასწრაფოდ იარაღდებიან რაზმელები, კიროვი მეთაურობს კოლონას დემონსტრაციის დროს. იგი მედროშის, მბეჭდავი მუშა კონონოვის გვერდითაა. ჟანდარმებმა და გოროდოვოებმა სროლა აუტეხეს დემონსტრაციას. ტყვიით განგმირული დაეცა მედროშე კონონოვი, კიროვის მეგობარი.

კონონოვის დაკრძალვა მრისხანე დემონსტრაციად გადაიქცა. დაკრძალვაზე ათასობით ადამიანები კითხულობდნენ ფურცელს „მოკლული ამხანაგის გვირგვინად", რომელიც სერგეი მირონისძემ და მისმა ამხანაგებმა დასწერეს. ეს ფურცელი შემდეგში საზღვარგარეთ მოხვდა, და ლენინმა დაბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ „ვპერიოდში". დემონსტრაციის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ სერგეი მირონის-ძე დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ იგი მთელი არსებით ებმება პარტიულ მუშაობაში. მას ირჩევენ რსდმპ ტომსკის კომიტეტში. იგი განაგებს არალეგალურ სტამბას, ხელმძღვანელობს მუშათა წრეებს.

1905 წლის შემოდგომა. იწყება საყოველთაო გაფიცვა რკინიგზებზე. იზრდება რევოლუციის ტალღა. თვითმპყრობელობა აქეთ-იქით აწყდება, ცდილობს ზოგიერთი დათმობის ფასად დრო მოიგოს. 17 ოქტომბერს გამოდის მეფის „მანიფესტი". მენშევიკები—ეს ბურჟუაზიის აგენტები და ლაქიები — იწყებენ ლაპარაკს სათათბიროს „დემოკრატიულ" არჩევნებზე. ისინი აცხადებენ, რომ გაფიცვათა და შეიარაღებულ გამოსვლათა დრო დასრულდა. ბოლშევიკები იცავენ შეიარაღებული აჯანყების ლენინურ, რევოლუციურ ხაზს, კიროვი მთელი თავისი გაბედულობით ებრძვის ტომსკის კომიტეტში მოკალათებულ მენშევიკებს.

— ჩვენ, ბოლშევიკებს,—განაცხადა მან მუშათა მიტინგზე, — არ გვჯერა მეფის მანიფესტების. მანიფესტები იმისთვის გამოდის, რომ მუშათა კლასი ჩამოაშოროს შეიარაღებულ ბრძოლას. იარაღით, ცეცხლითა და საკუთარი სისხლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება. მხოლოდ ასეთი გზით შეგვიძლია დავამხოთ მეფის დინასტია, მოვიპოვოთ უფლებები.

20 ოქტომბერს, მეფის მანიფესტის გამოქვეყნებიდან სამი დღის შემდეგ, შავრაზმელებმა მოახდინეს დარბევა. 150-ზე მეტი მუშა იყო მოკლული და დასახიჩრებული. კიროვი სხვა რაზმელებთან ერთად აწყობს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას შავრაზმელ ბანდიტებისადმი.

1905 წლის დეკემბერი. მთელ ქვეყანას მოედო მოსკოვში მომხდარი აჯანყების სოლიდარობის ტალღა. მაგრამ აჯანყება განადგურებულია.

შავი რეაქცია წელში იმართება.

ტომსკში დააპატიმრეს სერგეი მირონის-ძე კიროვი (1906 წ. იანვარი). რამდენიმე თვის შემდეგ ხერხდება კიროვის განთავისუფლება ციხიდან ფულადი საწინდრის შეტანით. სერგი მირონის-ძე კვლავ თავისუფალია. იგი აწყობს დიდ არალეგალურ ფარულ სტამბას. მაგრამ კიროვს ისევ მალე აპატიმრებენ. თუმცა ჟანდარმებმა ვერ მოახერხეს არალეგალური სტამბის აღმოჩენა, მაგრამ ამხ. კიროვს „ძველ საქმეზე" მაინც მიუსაჯეს საპყრობილეში პატიმრობა.

1908 წლის ზაფხულში სერგეი მირონის-ძე გამოდის ციხიდან. იგი გადადის ირკუტსკში, სადაც აღადგენს განადგურებულ ორგანიზაციას. მაგრამ პოლიციას ხელთ აქვს ახალი მამხილებელი საბუთები კიროვის წინააღმდეგ. სერგეი მირონის-ძეს დაპატიმრება მოელის. იგი ირკუტსკიდან გარბის ჩრდილო-კავკასიაში, კავკავში, ახლანდელ ქ. ორჯონიკიძეში.

კავკავში იმ დროს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია განადგურებული იყო. კიროვი მისთვის ჩვეული უშიშროებითა და შეუპოვრობით განსაკუთრებით მძიმე პირობებში იწყებს არალეგალური ორგანიზაციის აღდგენას. იგი აბამს კავშირს რკინიგზის სახელოსნოებისა და თუთუნის ქარხნის მუშებთან, იგი მიდის შორეულ აულებში მთიელებთან. შეაქვს მთებში ლენინური სიტყვები ხალხის სიმართლეზე, აღვიძებს მშრომელი ხალხის უკეთესი მომავლის იმედსა და რწმენას. იგი იყენებს ყველა არალეგალურ და ლეგალურ შესაძლებლობას მეფის თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად.

ოფიციალურად სერგეი მირონის-ძე არის ადგილობრივი ლიბერალური გაზეთის „ტერეკის" თანამშრომელი. ამ გაზეთში იბეჭდება მისი სტატიები ხელმოწერით „ს. კიროვი". ეს ლიტერატურული ფსევდონიმი გახდა სერგეი მირონის-ძის ახალი გვარი, რომელსაც მილიონობით ადამიანები იცნობენ. 1912 წლის ნოემბერს „ტერეკში" იბეჭდება კიროვის სტატია „ზნე-ჩვეულებათა სიმარტივე", სადაც იგი ამხელს მეფის სათათბიროს როლს. იგი სწერს: „საბოლოოდ გამოირკვა, რომ მეოთხე სათათბიროში გარდუვალია შავების, მასთან მეტად გარკვეული იერის, პურიშკევიჩებისა და ზამისლოვსკების იერის შა-

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

სერგეი მირონის-ძე კიროვ

(გაგრძელება)

ვების ბატონობა“. შემდეგ იგი აშკარად აცხადებს, რომ რუსეთის ზურგზე „მოიკალათა ისეთმა „პარლამენტმა“, რომელშიც უმრავლესობა დაჯილდოებულია ერთი სათნოებით: „რეზინის საუცხოო ხმარებით“?.

ამ სტატიამ აურზაური გამოიწვია შავრაზმელთა ხროვაში. გაზეთ „ტერეკის“ ნომერს კიროვის სტატიით კონფისკაცია უყვეს. პროკურორმა დაიწყო გამოძიება ამ საქმეზე. მხოლოდ შემთხვევით გადარჩა ამხელად კიროვი დაპატიმრებას.

დაიწყო იმპერიალისტური ომი. სერგეი მირონის-ძე მტკიცედ იცავს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინურ ხაზს.

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კიროვი. მეთაურობს რა თერგის ოლქის ბოლშევიკებს, აწარმოებს ბრძოლას მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ.

ჩრდილო-კავკასიაში იკრიბებიან კონტრრევოლუციის ძალები. კულაკები და მოლები აულებში ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, აღვივებენ ეროვნულ შუღლს, ახდენენ მუხანათურ მკვლელობებს, აწყობენ დარბევებს. პროვოკაციულად იწვევენ ძმათამკვლელ ომს.

სერგეი მირონის-ძე დაუღალავია და უშიშარი. იგი მიდის სოფელში ინგუშებთან, მთიელთა აულებში, ყაბარდოელ ღარიბებთან, ოსებთან. უბრალო და მგზნებარე სიტყვებით განმარტავს იგი თებერვლის რევოლუციის აზრს და ამტკიცებს მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაციისაგან ხალხის განთავისუფლებისათვის ახალი ბრძოლის აუცილებლობას. ამხელს მენშევიკების, ესერების, ნაციონალისტების პოლიტიკას.

ბოლშევიკურმა პროპაგანდამ მალე გამოიღო ნაყოფი. ოქტომბერში ბოლშევიკებმა მოიპოვეს უმრავლესობა კავკავის საბჭოში. გარნიზონი ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. სერგეი მირონის-ძე კავკავის საბჭოსაგან მიდის პეტროგრადში საბჭოების II სრულიად-რუსეთის ყრილობაზე. როგორც ლენინურ-სტალინური პარტიის ერთერთი უერთგულესი შვილი ამხ. კიროვი უდიდეს მუშაობას ატარებს დიდი პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის დაუვიწყარ დღეებში.

1917 წლის დამლევს და 1918 წლის დასაწყისს ჩრდილო-კავკასიაში მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო. დონის ოლქში, რომელიც ჩრდილო-კავკასიას ჰყოფდა საბჭოთა რუსეთისაგან, ბატონობდა თეთრგვარდიელი გენერალი კალედინი. კონტრრევოლუცია ყოველგვარ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ არ დაეშვა საბჭოთა ხელისუფლების მოწყობა. ბურჟუაზიული ნაციონალისტები მიმართავდნენ ეროვნული შუღლის გაღვივების ყოველგვარ საზიზღარ ხერხებს, ამ რთულ და ძნელ პირობებში ს. მ. კიროვი აჩაღებს თავის გაცხოველებულ მუშაობას ყაზახთა და მთიელთა მშრომელი მასების პოლიტიკურად აღსაზრდელად, მათ შესამჭიდროებლად კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

კიროვმა შესძლო კონტრრევოლუციური ზედაფენების იზოლაცია და გაიყოლია მასები. 1918 წლის ზაფხულში კიროვი კავკავიდან მოსკოვს გაემგზავრა დახმარებისათვის, სახსრებისათვის, იარაღისათვის. მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ მოახერხა. დენიკინის რაზმებმა ჩაიგდეს ხელში ჩრდილო კავკასია. XI არმიამ ასტრახანისაკენ დაიხია.

მტერი ემუქრება ასტრახანს; აღმოსავლეთიდან მას ემუქრება კოლჩაკელი გენერალი ტოლსტოი, რომელიც მეთაურობს კონტრრევოლუციურ კაზაკთა რაზმს; დასავლეთიდან — დენიკინელები, კასპიის ზღვიდან ვოლგის შესართავს უახლოვდებოდნენ ინტერვენტები — ინგლისელები.

პარტია ავალებს კიროვს მოაწყოს ასტრახანის დაცვა.

მოღალატე ტროცკიმ ბრძანება გასცა, დასცალეთ ასტრახანიო. კიროვმა, XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა, გააპროტესტა ეს მოღალატური ბრძანება ლენინის წინაშე და ლენინისაგან მიიღო დირექტივა: „ასტრახანი დაიცავით ბოლომდე“. პარტიულ კონფერენციაზე ასტრახანში კიროვი აცხადებს: „ვიდრე ასტახანის მხარეში თუნდაც ერთი კომუნისტია, მდინარე ვოლგის შესართავი იყო, არის და იქნება საბჭოთა“.

ბოლშევიკები გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. მჭიდროდ ირაზმება ასტარახანის პარტიული ორგანიზაცია. იქმნება მოხალისეთა რაზმები. 1919 წ. მთელი ზაფხულის განმავლობაში დაძაბული ბრძოლა სწარმოებს XI არმიის განსამტკიცებლად. მძიმე წუთებში სერგეი მირონის-ძე თვითონ მეთაურობს რაზმებსა და მიჰყავს ისინი საბრძოლველად. XI არმია კიროვის გეგმით გადადის შეტევაზე. ოპერაციები დენიკინის წინააღმდეგ ტარდება ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. ასტრახანის წინააღმდეგ აღმართული საფრთხე აცილებულია. დენიკინი განადგურებულია. იგი მარცხდება ორიოლთან კასტორნაიას მახლობლად. 1920 წ. 3 იანვარს წითელი ჯარები თეთრებს ართმევენ ცარიცინს. თებერვლის დამლევს XI არმია იკავებს სტავროპოლს. წითელი ჯარები შედიან კავკავში. აპრილის დამლევს პირველი წითელი ჯავშნიანი მატარებელი შედის ბაქოში — აზერბეიჯანის ცენტრში. 5 მაისს ბაქოს მუშების წინაშე გამოვიდა მგზნებარე ტრიბუნი—სერგეი კიროვი.

მალე პარტია სერგეი მირონის-ძეს გზავნის რუსეთის სფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად მენშევიკურ საქართველოში. მენშევიკები ვრანგელს აძლევენ ნავთსა და ბენზინს, ისინი გზავნიან დენიკინელებს ყირიმში, ისინი სდევნიან ბოლშევიკებს. დიპლომატიურ ნოტებში კიროვი ოსტატურად ამხელს ნოე ჟორდანიას მთავრობის საზიზღარ საქმეებს.

1920 წლის სექტემბრის დასაწყისი. სერგეი მირონის-ძე მონაწილეობას ღებულობს აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობაში, რომელიც ბაქოში გაიმართა. მალე, თბილისში დაბრუნების შემდეგ, მას ეძლევა მონაწილეობა მიიღოს, როგორც საბჭოების ქვეყნის წარმომადგენელმა, მოლაპარაკებაში პოლონეთთან დროებითი ზავის, შემდეგ კი ზავის დადებაზე.

პოლონეთთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სერგეი მირონის-ძე ბრუნდება ჩრდილო-კავკასიაში. იგი მონაწილეობას იღებს თერგის ოლქის ხალხთა ყრილობაში. ყრილობაზე მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის დაარსების შესახებ დეკლარაციით გამოვიდა ი. ბ. სტალინი.

მენშევიკების დღეები დათვლილია. ისინი განიცდიან კრახს. მასები აღსდგნენ მენშევიკებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მენშევიკებს აღარ ძალუძთ ჩააქრონ მასების აჯანყება საქართველოში.

1921 წ. თებერვალი. სერგეი მირონის-ძე ზამთრის მძიმე პირობებში აწყობს ჩრდილო-ოსეთის ცხენოსან პარტიზანთა ბრიგადების გადასვლას კავკასიის ქედზე. პარტიზანები რომელთაც ლეგენდარული გადასვლა მოახდინეს, მიეშველნენ მენშევიკების ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს საქართველოში.

თერგის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე (1921 წ. თებერვალი) ს. მ. კიროვს ერთხმად ირჩევენ პარტიის X ყრილობის დელეგატად. პარტიის ყრილობაზე ამხანაგ კიროვს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

1921 წ. ივლისი. კიროვი ბაქოშია. იგი არჩეულია აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. სერგო ორჯონიკიძესთან ერთად იგი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან. იგი ლენინ-სტალინის ხაზის საფუძველზე ამჭიდროებს ამიერ-კავკასიაში უდიდეს პარტიულ ორგანიზაციას. დიდი ენერგია შესწირა კიროვმა აზერბეიჯანის მრეწველობის აღდგენასა და რეკონსტრუქციას. ბაქო-აზერბეიჯანის ცენტრი კიროვისხელმძღვანელობით გარდაიქმნა. სერგეი მირონის-ძე პირადად ადევნებდა თვალყურს ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციას, ახალი სახლების აშენებას მუშებისათვის, ტრამვაის ამუშავებას, ქალაქისა და მისი განაპირა უბნების კეთილმოწყობას.

„აზერბეიჯანის კომუნისტურმა პარტიამ,—სწერს ლ. ბერია,—ამხანაგ კიროვის მეთაურობით სწრაფად გაანადგურა ნაციონალ-უკლონისტები. ბაქოს პროლეტარიატი, ლენინ-სტალინის ინტერნაციონალური დროშის ერთგული, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა“.

1923—1924 წელი. კიროვი ბოლშევიკური შეურიგებლობით ანადგურებს ტროცკისტებს. ბაქოს პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ სდგას ლენინურ პოზიციებზე.

კიროვის—შეურიგებელი, შეუდრეკელი ბოლშევიკის, ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის სახელს მთელი პარტია და მუშათა კლასი იცნობენ. პარტიის XII ყრილობაზე ს. მ. კიროვს ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. როდესაც ზინოვიევის საზიზღარი ბანდა გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ და ცდილობდა გაეშალა თავისი გამცემლური მუშაობა ლენინგრადის ორგანიზაციის რიგებში — საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სწორედ კიროვს გზავნის რევოლუციის მტრებთან ლენინგრადელი ბოლშევიკების ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის.

1926 წელი. სერგეი მირონის-ძე ლენინგრადშია. ხალხის მტრები — ზინოვიეველები ხიშტებით ხვდებიან მტკიცე სტალინელს. მგზნებარე ტრიბუნი კიროვი შეუბრალებელ ლახვარს სცემს ტროცკისტ-ზინოვიეველ გარეწრებს. იგი მუშათა კლასის გამცემლებსა და მოღალატეებს ჰგლეჯს ყალბ ნიღბებს.

პეტროგრადის რაიონის IX საგანგებო პარტკონფერენციის ტრიბუნიდან, რაც პარტიის XIV ყრილობის შემდეგ გაიმართა, კიროვმა განაცხადა „ჩემი ულრმესი რწმენით, ძირითადი საკითხი, რომელიც უთანხმოების საგნად გახდა... ეს არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი“.

კიროვს ესმის, რომ ტროცკისტები, ზინოვიეველები — სოციალიზმის უბოროტესი მტრები არიან. იგი ყოველდღე გამოდის მუშების წინაშე ლენინგრადის ქარხნებსა და ფაბრიკებში. იგი ამჭიდროებს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების კადრებს, შეუბრალებლად ამხელს და ანადგურებს ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბანდას.

ლენინის ქალაქის ბოლშევიკები, მირონიჩის მიერ აღზრდილნი, ამხელენ და ანადგურებენ კაპიტალიზმის რესტავრატორთა კონტრრევოლუციურ ბუხარინულ-რიკოვულ ბანდას. კიროვის ხელმძღვანელობით ლენინის ქალაქის პროლეტარებმა განახორციელეს ლენინგრადის მრეწველობის სოციალისტური გარდაქმნა. ლენინგრადი გადაიქცა საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრ ბაზად. სერგეი მირონის-ძე ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს ლენინგრადის უდიდესი საწარმოების — „კრასნი პუტილოვეცის“ (ამჟამად კიროვის ქარხნის), „ელექტროსილის“, სტალინის სახელობის ქარხნის, „ბოლშევიკის“, ბალტიის ქარხნისა და ბევრ სხვა საწარმოს მუშაობას.

კიროვმა მიაღწია ენერგეტიკული ბაზის შექმნას სათბობის ადგილობრივი სახეების საფუძველზე. კიროვი პირადად მუშაობს პოლარული წრის მიღმა მუდმივ გაყინულ ტუნდრაში აპატიტის მადნის დამუშავების საკითხებზე: იგი თვალყურს ადევნებს სინთეტიკური კაუჩუკის პრობლემის გადაჭრას. სერგეი მირონის-ძის ინიციატივით დაიწყო ტიხვინის ბოქსიტების დამუშავება. მისი ხელმძღვანელობით იქმნება ვოლხოვის პირველი ალუმინის ქარხანა. დიდია კიროვის როლი ჩრდილოეთის ათვისებაში. მისი ინიციატივით დაიწყო კოლის ნახევარკუნძულის სიმდიდრეთა გამოკვლევა, გაიშალა მურმანსკის თევზის მდიდარი სარეწაოები, შეიქმნა ახალი ქალაქები და კულტურული ცენტრები.

სერგეი მირონის-ძეს მონაწილეობით შეიქმნა თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის სტალინის სახელობის არხი, რომელიც ბალტიის ზღვასა და ლენინგრადს აკავშირებს თეთრ ზღვასთან და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანესთან.

მთელი პარტია იცნობდა სერგეი მირონის-ძეს და უსაზღვროდ ენდობოდა მას. როგორც პარტიის ერთერთი საყოველთაოდ აღიარებული ბელადი, ს. მ. კიროვი 1930 წელს არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) [illegible]ალინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

მასების ნამდვილი ბელადი, ამხანაგი კიროვი განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხთან. საბჭოთა კავშირის მშრომელებს დიდად უყვარდათ მირონიჩი. და მასაც უსაზღვროდ უყვარდა ხალხი და ჰქონდა მისი რწმენა. კიროვი დაუღალავად განუმარტავდა ფართო მასებს ლენინიზმის დიად იდეებს.

„არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, — ამბობდა კიროვი,— ვიდრე მასების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდა“.

კიროვი ზრდიდა მასებს ხალხის მტრებისადმი ბოლშევიკური შეურიგებლობის საფუძველზე. „არ არსებობს იმაზე უფრო სერიოზული საფრთხე რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის,—ამბობდა კიროვი,—ვიდრე ჩვენი საკუთარი რიგების უმტკიცობა“.

პარტიის XV ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში კიროვმა განაცხადა:

„...ყოველივე ის, რაც ფეხებში გვებლანდება, რაც მერყეობს და დაეჭვებულია, დატოვებულ უნდა იქნას ისტორიის უფსკრულში, ხოლო ჩვენი და თქვენი გზა არის მხოლოდ წინ და მხოლოდ გამარჯვებებისაკენ!“

ერთი მეორეზე გამანადგურებელ ლახვარს სცემს შესანიშნავი ტრიბუნი და ბელადი ს. მ. კიროვი პარტიისა და ხალხის მტრებს — ტროცკისტებს, ზინოვიეველებს, ბუხარინელებს — ფაშისტთა ამ საზიზღარ ჯაშუშებსა და დივერსანტებს.

ხალხის მტრებს ეშინოდათ კიროვის. კიროვი სძულდა ყველა ტროცკისტს, ზინოვიეველს, ბუხარინელს, ფაშიზმის ყველა მოსყიდულ აგენტს, ვინაიდან იგი იყო ერთერთი ყველაზე სახელოვანი, ყველაზე მტკიცე სტალინელი, ხალხის ერთერთი ყველაზე პოპულარული ბელადი.

ფაშისტური ბურჟუაზიის პირსისხლიანმა ქოფაკებმა და ჯაშუშებმა — უცხოეთის დაზვერვათა ტროცკისტ-ზინოვიეველ - ბუხარინელმა აგენტებმა მისცეს დავალება თავიანთ ბინძურ დამქაშებს მოეკლათ კიროვი. ისარგებლეს რა რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებით ლენინგრადის ორგანიზაციის ცალკეულ რგოლებში, ჯალათებმა შეასრულეს თავიანთი ავაზაკური საქმე. მტრის ტყვიამ შესწყვიტა მირონიჩის შესანიშნავი სიცოცხლე. 1934 წლის 1 დეკემბერს ჩვენი ქვეყანა შეაძრწუნა სამწუხარო ამბავმა. დავკარგეთ სერგეი მირონის-ძე კიროვი.

საზიზღარი გამცემლები ფიქრობდნენ სმოლნში გასროლილი ტყვიით შეეტანათ პანიკა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა რკინის რიგებში. მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა სერგეი მირონის-ძე კიროვის მუხანათურ მოკვლას უპასუხეს კიდევ უფრო მეტი შემჭიდროებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო, რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერებით.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის კიროვის მოკვლა იყო ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელ ჯაშუშთა და დივერსანტთა სისხლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილი. ფაშიზმის საზიზღარი აგენტები მიზნად ისახავდნენ შეერყიათ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია, დაებრუნებინათ მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების ბატონობა. მაგრამ ფაშისტთა ეს ავაზაკური გეგმები და ზრახვები გამომჟღავნებულია.

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მიერ წარგზავნილ ამხ. ნ. ი. ეჟოვის ხელმძღვანელობით სახელოვანმა შინსახკომელებმა განდევნეს და ბოლომდე სდევნიან ყველა ხვრელიდან ხალხის მოსისხლე მტრებს, სამგზის წყეულ გამცემლებსა და პროვოკატორებს. ფაშისტური უწმინდურებისაგან საბჭოთა მიწაწყლის გაწმენდის ამ დიად მუშაობაში შინსახკომელები ემყარებიან მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებასა და მხარდაჭერას. პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს მტკიცედ ახსოვთ ამხანაგ სტალინის მითითება, რომ „ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში“.

ლენინგრადის მშრომელებმა ს. მ. კიროვის მხეცური მკვლელობის ფაქტიდან გამოიყვანეს საჭირო დასკვნები. ერთგული სტალინელის ა. ა. ჟდანოვის ხელმძღვანელობით ლენინის ქალაქის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები დღითიდღე აძლიერებენ თავის რევოლუციურ სიფხიზლეს, წარმატებით სწყვეტენ ამოცანას — გადააქციონ ლენინგრადი სოციალიზმის ისეთ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც მტერი ვერ მიუდგება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა მიწაწყლის პირიდან აღგვიან, მოსპობენ, როგორც ქვეწარმავალს, ფაშიზმის ტროცკისტ - ზინოვიეველ - ბუხარინელ მზვერავებს.

მშრომელთა გულში სამუდამოდ იცოცხლებს კიროვის ხსოვნა. კიროვის, საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილის, ცხოვრება — ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხალხის ცხოვრების სარკეა. კიროვის ცხოვრება—ეს არის თავდადებული რევოლუციური ბრძოლის 30 წელი. სერგეი მირონის-ძე კიროვმა განვლო სამი რევოლუცია და იგი ი. ბ. სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გახდა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი. ყოველთვის და ყველგან დაუღალავად იბრძოდა უშიშარი ბოლშევიკი. სერგეი მირონის-ძე კიროვი მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავლისათვის, ლენინ-სტალინის იდეათა გამარჯვებისათვის.

„შენ მუდამ ჩვენთან იყავი, — სწერდნენ ამხანაგი სტალინი და მისი თანამებრძოლნი, — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მძიმე ბრძოლების წლებში, შენ მუდამ ჩვენთან იყავი ჩვენი პარტიის შიგნით მერყეობათა და სიძნელეთა წლებში, შენ ჩვენთან ერთად გადაიტანე უკანასკნელი წლების ყველა სიძნელე და შენ დაგვეკარგე იმ მომენტში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია უდიდეს გამარჯვებებს. მთელს ამ ბრძოლაში, ყველა ჩვენს მიღწევაში ბევრია შენი წილი, ბევრია შენი ენერგია, ძალა და მგზნებარე სიყვარული კომუნიზმის საქმისადმი“. (1934 წლის 2 დეკემბრის „პრავდა“).

სამმა წელმა განვლო კიროვის გარდაცვალების შემდეგ. მთელი მსოფლიო ხედავს სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებებს. საბჭოთა ხალხი ცხოვრობს და იმარჯვებს სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშის ქვეშ.

კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო პოლიტიკური აქტივობით ემზადებიან სსრ კავშირის ხალხები 12 დეკემბრის დღისათვის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის, ლენინ-სტალინის პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სიდიადე.

ამჟამად განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობთ მირონიჩის უქონლობას. რა დიდად იქნებოდა გახარებული კიროვი საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებებით. მეხსიერებაში ცოცხლობს დაუვიწყარი მირონიჩის ნათელი [illegible] იგი თავის უკვდავ [illegible] პარტიის XVII ყრილობაზე. იგი ლაპარაკობს: „წარმატებანი ჩვენში მართლაც უდიდესი გვაქვს. დალახვროს ეშმაკმა, ადამიანურად რომ ეთქვათ, გინდა იცოცხლო და იცოცხლო...“

კიროვი ცოცხლობს მშრომელთა გულსა და ხსოვნაში, როგორც შეუდრეკელი სტალინელი, როგორც უშიშარი პროლეტარული რევოლუციონერი, როგორც შეურიგებელი მებრძოლი ლენინ-სტალინის საქმის ყველა მტრის წინააღმდეგ.

ლენინ-სტალინის საქმე, რომლისაც სერგეი მირონის-ძე კიროვმა თავისი სიცოცხლე შესწირა, იმარჯვებს და გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

„... შენ ჩვენთან იყავი ყოველთვის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისათვის [illegible] მძიმე ბრძოლების წლებში; შენ ჩვენთან იყავი ჩვენი პარტიის შიგნით მერყეობათა და სიძნელეთა წლებში; შენ ჩვენთან ერთად გადაიტანე უკანასკნელი წლების ყველა სიძნელე, და ჩვენ დაგვეკარგე იმ მომენტში, როცა ჩვენმა ქვეყანამ დიად გამარჯვებებს მიაღწია. მთელ ამ ბრძოლაში ყველა ჩვენს მიღწევაში დიდია შენი წილი. დიდია შენი ენერგია, ძალა და კომუნიზმის საქმის მხურვალე სიყვარული“.

(საკ. კომ. პარტ. (ბოლ.) ცენტრალური კომიტეტის ცნობიდან ს. კიროვის ვერაგული მკვლელობის შესახებ)

როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს, კვლავ თვალწინ გიდგება მისი დაუვიწყარი სახე მტკიცე, ურყევი ბოლშევიკ ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო გამჭრიახი პოლიტიკური ხელმძღვანელი და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის.

ლ. ბერია.

(„პრავდა“, 1935 წლის დეკემბერი. სტატიიდან „მგზნებარე მებრძოლი“)

„ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, თუ როგორ დაყოფილა ამჟამად მთელი დედამიწა ორ გიგანტურ, მაგრამ არა თანაბარ ნახევარ სფეროდ: ერთზეა ღამე, წყვდიადი, სივერანე და მკვდარი სიტყვა — სიკვდილი, მეორეზეა — სიცოცხლე, მუშაობა და შემოქმედება და ძლევამოსილი სიტყვა — წინ ახალი ცხოვრებისაკენ. და, ამხანაგებო, არ არიან იმაზე უფრო ბედნიერი ადამიანები, რომლებსაც ბოლშევიკები ეწოდება, ამ ნახევარ სფეროზე ჩვენ თქვენთან წინ მიგვაქვს ეს ძლევამოსილი დროშა და ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ...“

კიროვი

„ამხანაგებო! მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც დიდი მათემატიკოსი ცდილობდა ეპოვნა დასაყრდენი წერტილი იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით შემოეტრიალებია მთელი დედამიწა. განვლეს საუკუნეებმა და ეს დასაყრდენი არამც თუ ნაპოვნია, არამედ იგი შექმნილია ჩვენი ხელით. არ გავა დიდი ხანი, როცა ჩვენ თქვენთან ერთად, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის მონაპოვარზე დაყრდნობით, დედამიწის ორივე ნახევარ სფეროს შემოვატრიალებთ კომუნიზმის გზაზე“.

კიროვი

„წარმატებები მართლაც, რომ უდიდესი გვაქვს. დალახვროს ეშმაკმა, ადამიანურად, რომ ვთქვათ, კაცს გინდა იცოცხლო და იცოცხლო; მართლაც შეხედეთ, რა ხდება, ეს ხომ ფაქტია“ (ძლიერი ტაში).

კიროვი

ი. ბ. სტალინი

კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი*)

რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარმა ყველა ამ ცვლილებამ ახალი კონსტიტუციის პროექტში?

სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორია ძირითადი თავისებურებანი კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც ამ ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი?

საკონსტიტუციო კომისიას დავალებული ჰქონდა შეეტანა ცვლილებანი 1924 წლის კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონსტიტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საკონსტიტუციო კომისია იქიდან გამოდიოდა, რომ კონსტიტუცია არ უნდა იქნას არეული პროგრამასთან. ეს ნიშნავს, რომ პროგრამასა და კონსტიტუციას შორის არსებითი განსხვავება არის. მაშინ როდესაც პროგრამა ლაპარაკობს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ მიღწეულ და მოპოვებულ უნდა იქნას მომავალში, კონსტიტუცია, პირიქით, უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც უკვე არის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია ახლა, აწმყოში. პროგრამა უმთავრესად ეხება მომავალს, კონსტიტუცია — აწმყოს.

ორი მაგალითი ილუსტრაციისათვის.

ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. (ხანგრძლივი ტაში). კომუნიზმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით". უნდა ასახოს თუ არა ჩვენმა კონსტიტუციამ ეს ფაქტი, სოციალიზმის მოპოვების ფაქტი? უნდა დაემყაროს თუ არა იგი ამ მონაპოვარს? უსათუოდ უნდა დაემყაროს. უნდა დაემყაროს, რადგან სოციალიზმი სსრ კავშირისათვის არის ის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

მაგრამ საბჭოთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომუნიზმის მაღალი ფაზის განხორციელებისათვის, სადაც გაბატონებული პრინციპი იქნება ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით", თუმცა კი იგი მიზნად ისახავს მიაღწიოს მომავალში კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განხორციელებას. შეუძლიან თუ არა ჩვენს კონსტიტუციას დაემყაროს კომუნიზმის უმაღლეს ფაზას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის და რომელიც ჯერ კიდევ მოპოვებულ უნდა იქნას? არა, არ შეუძლიან, რადგან კომუნიზმის უმაღლესი ფაზა სსრ კავშირისათვის არის ის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. არ შეუძლიან, თუ არ უნდა მას გადაიქცეს პროგრამად, ან დეკლარაციად მომავალ მონაპოვართა შესახებ.

ასეთია ჩვენი კონსტიტუციის ჩარჩოები მოცემულ ისტორიულ მომენტში.

ამგვარად, ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს. იგი, მაშასადამე, წარმოადგენს იმის რეგისტრაციისა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია. (მქუხარე ტაში).

ამაშია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ჩვეულებრივ გამოდიან კაპიტალისტური წყობილების ურყევლობის რწმენიდან. ამ კონსტიტუციათა მთავარ საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენებ[illegible]ის, ტყეების, ფაბრიკების, ქარ[illegible] და სხვა საწარმოო იარაღთა [illegible] კერძო სა[illegible] ადამიანის [illegible] ექსპლოატატორთა [illegible]ებულთა არსებობა: მშრომელი [illegible] არაუზრუნველყოფა საზოგადოების ერთ პოლუსზე და არამშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე; და სხვ. და ა. შ. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი იმათ ასახავენ, ისინი იმათ განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მათგან განსხვავებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტიდან, სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების ფაქტიდან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები, უკვე მოპოვებულნი და განხორციელებულნი: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სიღატაკისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს". შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. შ. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. იგი მათ ასახავს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამძღვარიდან, რომ საზოგადოება შესდგება ანტაგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომლებიც სიმდიდრესა ჰფლობენ, და იმ კლასებისაგან რომლებიც მას არ ჰფლობენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია შეძლებული კლასებისათვის. ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთის მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვანელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომელებისათვის.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამძღვარიდან, რომ ნაციები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ნაციები, და არიან არა სრულუფლებიანი ნაციები, რომ ამას გარდა, არსებობს კიდევ ნაციებისა ან რასების მესამე კატეგორია, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიან-ნაციებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს კონსტიტუცია თავისი საფუძვლით წარმოადგენს ნაციონალისტურს, ე. ი. გაბატონებული ნაციების კონსტიტუციებს.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, ღრმად ინტერნაციონალურია. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა თანასწორუფლებიანია. იგი გამოდის იქიდან, რომ განსხვავება კანის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ნაციებსა და რასებს შორის — არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გავამართლოთ ნაციონალური არათანასწორუფლებიანობა. იგი გამოდის იქიდან ,რომ ყველა ნაცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, მათი ძალისა ან სისუსტისაგან დამოუკიდებლად, — უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავისებურებას წარმოადგენს მისი თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დემოკრატიზმის თვალსაზრისით ბურჟუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: კონსტიტუციათა ერთი ჯგუფი პირდაპირ უარჰყოფს ან ფაქტიურად არარაობად აქცევს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალისით ღებულობს და საქვეყნოდაც კი გაჰკივის დემოკრატიულ საწყისებზე, მაგრამ ამასთან უკეთებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორუფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ. და სხვ. და ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა სცნობს განსხვებას მამაკაცთა და დედაკაცთა, „ბინადართა" და „არაბინადართა", მქონებელთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

დასასრულ, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე მაგრამ ავიწყდებათ რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებული არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი — ექსპლოატირებულთ. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონსიტყვად გადაიქცეს, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს თავის განკარგულებაში შესაფერისი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭდი ქაღალდის საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებას არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ გასაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა" და „საყოველთაოდ აღიარებულ" დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ სოციალისტურ დემოკრატიზმს.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ასახვა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომლებიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

---

*) მოხსენებიდან საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე 1936 წ. 25 დეკემბერს.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა

თუ ვიმსჯელებთ საყოველთაო - სახალხო განხილვის შედეგთა მიხედვით, რომელიც თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციის პროექტი ამ ყრილობის მიერ მოწონებული იქნება. (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. (დარბაზი ფეხზე დგება).

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში. (მქუხარე ტაში).

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც. (მქუხარე ტაში).

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ არა გვგონია შეიძლებოდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება.

ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა აფურთხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. (ტაში). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ. (მქუხარე ტაში).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა. (ხანგრძლივი ტაში). ეს სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვამოძრავებს და გვიმაღლებს კანონიერი სიამაყის გრძნობას. ეს განგვიმტკიცებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრაზმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. (მქუხარე ოვაცია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. მჭექარე „ვაშა". საერთო შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" ყრილობა ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს". „ინტერნაციონალის" შესრულების შემდეგ ოვაცია ახლდება. შეძახილები: „ვაშა!", „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს!")

ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე 8-ყრილობაზე. 1936 წ. 25 დეკემბერს.

დიდი ზეიმის დღე

ერთი წლის წინად სოციალიზმის ქვეყნის დედაქალაქში საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობამ მიიღო ს.ს.რ. კავშირის ახალი კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე — 25 ნოემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა დიდი სტალინური კონსტიტუციის შემოქმედი, სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი. მთელი საბჭოთა ქვეყანა უსაზღვრო სიყვარულით და აღფრთოვანებით ისმენდა ამხანაგ სტალინის ამ ისტორიულ მოხსენებას.

საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობა ახალ ფურცელს შლის მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში, მას მუდამ მოიგონებს მთელი ქვეყნის მშრომელები, რომელმაც მიიღო მსოფლიოში ჯერ არ ნახული სტალინური კონსტიტუცია, რომელშიაც ოქმის სტილით არის მოცემული საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევები, რომელიც ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე. ერთი წელია რაც მოქმედებაში შევიდა სტალინური კონსტიტუცია. სულ რამდენიმე დღე და საბჭოთა კავშირის ბედნიერი ხალხი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევს თავის ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — ს.ს.რ. კავშირის უზენაეს საბჭოს.

ამ დღისათვის მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ემზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი.

12 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, სტუდენტთა და მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი მივა საარჩევნო ყუთებთან და როგორც ერთი კაცი ხმას მისცემს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავდადებულ ადამიანებს.

12 დეკემბრამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის უახლოესი ამოცანა მთელი ენერგიით მზადება არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. უფრო მაღლა ავწიოთ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე. ვამხილოთ და გავანადგუროთ სოციალიზმის მტრები რა ნიღაბშიაც არ უნდა იყვნენ ისინი. საარჩევნო ყუთებთან არ მიუშვათ არც ერთი მტერი.

ს. ე.

მძლავრი საბჭოთა ხალხი 12 დეკემბერს თავის ხმებს მისცემს იმათ, ვინც იბრძვის და იმარჯვებს ლენინ-სტალინის დიადი დროშით

ხმა მივსცეთ ამხ. ე. მაზანაშვილისა და და მ. გვიშიანის კანდიდატურას

მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ 12 დეკემბრისათვის მზადება

1937 წლის 12 დეკემბერი ეს ის თარიღია რომელიც განსაზღვრავს უდიდეს ეტაპს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ამხ. ეთერ მაზანაშვილი სსრ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. კიროვის საარჩევნო ოლქი № 510-დან.

ს.ს.რ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები კაცობრიობის ისტორიაში შევა, როგორც პირველი ჭეშმარიტად სახალხო დემოკრატიული არჩევნები რომელიც ტარდება ნამდვილად საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით.

ეს ისტორიული თარიღი, რომლის მსგავსი არ ახსოვს არც ერთ სახელმწიფოს გარდა საბჭოთა კავშირისა, გვაყენებს ახალი ვალდებულების წინაშე, რათა ყოველმხრივ - ბრწყინვალე მომზადებით და კლასობრივი შეგნებით მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან.

თ. ს. უ.—კოლექტივი, რომელიც აღტაცებულია 12 დეკემბრის შესახვედრად სერიოზულ მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა. რის შედეგად ყველა ტიპის პოლიტსკოლებში სპეციალურად სწავლობენ „ს. ს. რ. კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულებას“ ამას გარდა გამოყოფილია 150-მდე აგიტატორები, რომლებიც ეწევიან აგიტაციას საარჩევნო უბნებში და სახლებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაინც არაა საკმარისი, რადგან ჩვენ ამოცანას წარმოადგენს არჩევნებისათვის პოლიტიკური მომზადება, რადგან პოლიტიკურად მომზადება პირველ რიგში ნიშნავს რევოლუციურ სიფხიზლის შემდგომ ამაღლებას, ხალხის საზიზღარი მტრების ტროცკისტ მემარჯვენე ფაშისტ კონტრრევოლუციონერებისა და მათი ნაბოლარების მხილებას და სრულ განადგურებას. 12 დეკემბრამდე სულ ცოტა დრო დაგვრჩენია, ამიტომ საჭიროა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პოლიტიკური აგიტაცია; „ბოლშევიზმის ცოცხალი სიტყვა და საქმე უნდა ჭექდეს ყველგან“ (პრავდა). პოლიტიკური აგიტაციის გაშლის ერთ ერთ საშუალებას წარმოადგენს კედლის გაზეთების ნორმალური მუშაობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის და სტუდ. ქალაქის კედლის გაზეთები სრულებით არ არიან ამოქმედებული, რასაც ადასტურებს ის ფაქტი რომ სპეციალურად არჩევნებთან დაკავშირებით არც ერთი კედლის გაზეთი არ გამოსულა. ასევე არ გამოსულა გაზეთები სტუდ ქალაქისა და უნივერსიტეტის საარჩევნო უბნებში, რაც მათ სუსტი მუშაობას უნდა მიეწეროს.

12 დეკემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერება კაცობრიობის ისტორიაში, ჩვენ სტალინური ეპოქის საბჭოთა ახალგაზრდობა კიდევ მეტი მონდომებითა და სტალინური ენერგიით უნდა ვემზადოთ ისტორიული თარიღისათვის. უნივერსიტეტის საბჭოთა სტუდენტობა, რომელთაც წილად გვხვდა ბედნიერი ცხოვრება სტალინურ მზრუნველობით განათებულ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ენერგიით მოვკიდებთ ხელს მარქსისტულ ლენინურ თეორიის დაუფლებას, ხოლო 12 დეკემბერს ხმას მივსცემთ დიდი კომუნისტური—ლენინურ-სტალინური პარტიის ერთგულ შვილების კომუნიზმისათვის ნაცადი მებრძოლების ამხ. მ. გვიშიანისა და ე. მაზანაშვილის კანდიდატურას.

შ. ჯიქია

ამხ. გვიშიანი კავშირის ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 118-დან.

ხმას მივცემ ამხ. მაზანაშვილს და გვიშიანს

ს.ს.რ. კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატებად ჩვენ ავირჩევთ საუკეთესო ადამიანებს, ლენინ სტალინის პარტიის საქმით უსაზღვროთ ერთგულ ადამიანებს. დაუნდობელ წინააღმდეგობას გაუწევენ ხალხის მტრებს. მათ მოვსპობთ და აღმოვფხვრით ძირ ფესვიანად.

მოახლოვდა 12 დეკემბერი. 12 დეკემბერს აღფრთოვანებით მოელის მთელი მშრომელი მასა.

თ. ს. უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი ისე, როგორც მთელი ორჯონიკიძის რაიონის საარჩევნო ოლქი ფართოდ გაეცნო წამოყენებულ კანდიდატების ბიოგრაფიას. ისინი იცნობენ თუ ვინ არიან ამხ. გვიშიანი და მაზანაშვილი, თუ რას წარმოადგენენ ისინი ლენინ სტალინის პარტიისათვის, მთელი მშრომელებისათვის. ჩვენ უცხადებთ ნდობას ამ საუკეთესო ადამიანებს და 12 დეკემბერს თ. ს. უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და თანამშრომლები ხმას მივსცემთ ამხ. მ. გვიშიანისა და ე. მაზანაშვილის კანდიდატურას.

ვ. თვალავაძე.

ნახეს დიდი ბელადის სახლი

ს. ს. რ. კ. უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ღრმად შესწავლისა და არჩევნების დღის 12 დეკემბრისათვის გაცხოველებით მზადებასთან დაკავშირებით თ. ს. უ. იურიდიული და გეოგრაფ-გეოლოგიურ ფაკულტეტის კომკავშირისა და პროფკავშირის ორგანიზაციების ინიციატივით ა-წ. 30 ნოემბერს მოეწყო ექსკურსია ქ. გორში, სადაც დაიბადა და აღიზარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა და საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი **სტალინი.**

სახლი, რომელიც აღდგენილია პირვანდელის სახით ორიგინალურად ზევიდან მას ამშვენებს მარმალოს გვირგვინი. სახლი დაათვალიერა 400-მდე სტუდენტმა რომელთა გულში უდიდესი და წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

მე წინადადებას ვაყენებ რათა თ. ს. უ. კომკავშირის ყველა ფაკულტეტის ორგანიზაციებმა მოაწყონ უახლოეს დღეებში დათვალიერება გმირული წარსულის, შესანიშნავი ძეგლის ავლაბრის აღდგენილი სტამბის. რომელიც შექმნა და მუშაობდა ხალხის გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. რომ ჩვენ ღრმად შევისწავლოთ ბოლშევიკების რევოლუციური ბრძოლის სტალინური სკოლა, რომ დავეუფლოთ ბოლშევიზმის ისტორიას.

შ. შარაშენიძე.

მიტინგი სახელმწიფო. უნივერსიტეტში

2 დეკემბერს დღის სამ საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა მიტინგი, რომელმაც მოისმინა ამხ. კიკნაძის ინფორმაცია, საქართველოს შინსახკომის მიერ აღმოჩენილი და ამ ჟამად ლიკვიდირებული კონტრრევოლუციური — დივერსიულ მავნებლურ, ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციის შესახებ. რომელიც მოქმედებდა საქართველოს მიწსახკომის სისტემაში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. მ. გოგიბერიძე, სტუდენტები — გვენცაძე. ლესელიძე და სხვები, რომლებიც აღნიშნავდნენ:

სამგზის წყეულნი და გარეწართა ეს ჯგუფი — მასხარაშვილის, ბასილაიას, კუტუბიძის, კორძახიას, კაგარლიცკის, შენგელიას, შანიძის, კიკნაძის და ჩოხელის მონაწილეობით უსაზიზღრესი მეთოდებით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობისათვის.

მავნებელთა ეს ხროვა იყენებდა მავნებლობის ყველაზე საზიზღარ ფორმას ცდილობდნენ შეექმნათ ხელოვნური უკმაყოფილება მოსახლეობაში და ამზადებდნენ კონტრრევოლუციურ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

მიტინგის მთელი შემადგენლობა ერთხმად მოითხოვს ფაშიზმის ამ გაცოფებული აგენტების ფიზიკურად განადგურებას.

მიტინგი იძლევა სიტყვას, რომ უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი კიდევ უფრო მჭიდროდ, მეტი ენერგიით, მეტი ენთუზიაზმით დაირაზმება პარტიისა და ხელისუფლების გარშემო, კიდევ უფრო გაამახვილებს შეტევითი რევოლუციურ სიფხიზლეს, ამხელს და ფიზიკურად გაანადგურებს ხალხის მტრებს რა ნიღაბშიაც არ უნდა იყვნენ გახვეული.

უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი კიდევ უფრო მეტის ენერგიით იბრძოლებს იმისათვის, რომ მისცეს ჩვენს ქვეყანას საუკეთესო მაღალი კვალიფიციური კადრები, რომლებით მთელ თავის ენერგიას შესწირავენ **ლენინ - სტალინის** დიად საქმეს.

ემ. გიორგობიანი.

ფეხბურთი

სახ. უნივერსიტეტის გუნდის გამარჯვება.

საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. გათამაშება ნახევრად ოლიმპიური წესით მიმდინარეობს ე. ი. გუნდი, რომელიც ორჯერ დამარცხდება ჰკარგავს გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლებას. ორ-ორი წაგება აქვთ ქუთაისის, ოჩემჩირის, ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდებს.

ამჟამად გათამაშებაში მონაწილეობს მხოლოდ 3 გუნდი: „ლოკომოტივის“, საქ. ინდ. ინსტიტუტისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის გუნდები.

30 ნოემბერს ამხ. ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა ფეხბურთის მორიგი კალენდარული მატჩი საქართველოს პირველობაზე. თამაშობდნენ თბ. სახ. უნივერსიტეტისა და „ბურევესტნიკის“ გუნდები. მათი შეხვედრა საკმაო სპორტულ ინტერესს იწვევდა. ჯერ ერთი: ორივე გუნდს თითო წაგება ჰქონდა და მეორედ დამარცხების შემთხვევაში გათამაშებიდან გამოდიოდა; მეორე ის, რომ: ფეხბურთის ბევრი მოყვარული „ბურევესტნიკის“ გუნდს პირველობის უძლიერეს პრეტენდენტათ თვლიდა, ამიტომ იყო, რომ ამ გუნდების შეხვედრას 7 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

თამაში იწყება სახ. უნივერსიტეტის გუნდის მძლავრი შეტევით და მეორე წუთზე უკვე ანგარიში იხსნება: უნივერსიტეტის გუნდის მარჯვენა მცველი —ნადარეიშვილი მშვენიერ „გოროვევას“ აძლევს ეგიზაროვს. ეს უკანასკნელი წამსვე აწვდის ბურთს მარჯვენა შიგამარბს — ბაგეტალოვს. მან ბურთს ჰაერშივე შეუცვალა მიმართულება და.. მძლავრი დარტყმით პირველად შეირხა „ბურევესტნიკის“ ბადე. თამაში მწვავე და უხეში ხდება. „ბურევესტნიკის“ გუნდმა დამარცხებას უხეშობითა და ხულიგნური გამოსვლებით უპასუხა. სამწუხაროდ მსაჯმა-გონელმა ამ მდგომარეობას დროზე ვერ აუღო ალღო, რის გამო ორი მოთამაშე დამტვრეული გაიყვანეს სტადიონიდან.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებში „ბურევესტნიკი“ პენალტით ასწორებს ანგარიშს.

მეორე ტაიმში სახ. უნივერსიტეტის გუნდის სიძლიერე უფრო აშკარა ხდება. შუა თამაშში ვ. კინწურაშვილი კიდევ ერთი ბურთით ზრდის ანგარიშს. თამაში დასრულდა 2:1 სახ. უნივერსიტეტის გუნდის გამარჯვებით. ამ დღეს კარგად თამაშობდნენ ნადარეიშვილი, ბაგეტელოვი და ეგიაზაროვი.

რ. ფ.

გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს

საქ. ადგილობრივ მრეწველობის პოლიგრაფიულ სამმართველოს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას.

ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფიის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა სიტყვა დასდეს 12 დეკემბერს უზენაეს საბჭოს არჩევნების დღეს შეხვდნენ 1937 წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებით. გაცნობებთ რომ სტამბა-ლითოგრაფიის მთელი კოლექტივის მიერ ეს დაპირება გამართლებულია. ა/წ. 1 დეკემბრისათვის 1937 წლის გეგმა შესრულებულია 101,1 პროცენტით. — ნაცვლად 161,2 ათასი მანეთის საერთო პროდუქციისა 11 თვის განმავლობაში სტამბა-ლითოგრაფიის მიერ გამოშვებულია 163,1 ათასი მანეთის პროდუქცია.

მანდრიკა,
ნიფარიძე,
მეტრეველი.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 19 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია **„პარტორგანიზატორის არჩევნები“** წერილში აღნიშნული იყო ამხ. **გიორგი გვიშიანის** შესახებაც, რომ იგი ეწეოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დისკრეტიზაციას, კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ლაყბობას, კავშირი ქონდა ტროცკისტულ მოლაყბეებთან, აწყობდა დაჯგუფებას ა.ლ.კ.კ. კომიტეტის წინააღმდეგ და სხვა.

რედაქციამ მიიღო საქ. ა.ლ.კ.კ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ბიუროს დადგენილება სადაც აღნიშნულია, რომ ამხ. **გიორგი გვიშიანის** მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დადასტურდა; პირიქით იგი ეწეოდა ჯანსაღ კრიტიკას სახ. უნივერსიტეტში, რის გამო აღდგენილია ა.ლ.კ.კ. [illegible]ში ყოველგვარი სასჯელის გარ[illegible]

აგრეთვე ამხ. გ. [illegible] დაუ[illegible] აღდგენილია [illegible]ში.

გასწორება

ჩვენი გაზეთის № 26 მოთავსებულია წერილი — „არჩევნები ჩვენში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში“. წერილის პირველ სვეტის უკანასკნელ აბზაცში მოყვანილია ამხანაგი ლენინის ციტატა სადაც შეცდომით წერია: „ექსპლოატატორულმა კლასმა“. უნდა იყოს „...ექსპლოატირებულმა კლასმა“.

რედაქცია

სარედაქციო კოლეგ

სტამბა, რომელიც ყველამ უნდა ნახოს

როგორც ლ. პ. ბერიას მოხსენებიდან ვიცით, ამხანაგ **სტალინმა** და ლადო კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსების იდეა. მათი მიზანი იყო რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა, „მესამე დასის“ ქართული უმრავლესობისა და მათი ლეგალური გაზეთის „კვალის“ წინააღმდეგ ბრძოლა. 1904 წელს იანვარში დაარსდა ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. სტამბა იყო რ.ს.დ.მ.პ. კავკასიის კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი **სტალინი.** სტამბა დიდი ოსტატობით იყო მოწყობილი. სახლის ქვეშ იყო ყოველმხრივ დახურული სარდაფი, რომელსაც მხოლოდ ერთი შესავალი ჰქონდა ჭიდან, ერთი ჭიდან მეორე ჭაში გადიოდა გვირაბი მეორე ჭიდან კი იყო სარდაფში შესავალი. ამ სარდაფში იყო მოწყობილი სტამბა. სტამბაში მძიმე ნაწილების ჩასაშვებად სარდაფს ჰქონდა სათადარიგო ჩასაშვები, რომელზეც ფიცრები ელაგა და ზედ მიწა ჰქონდა მიყრილი. საჭიროების დროს ამას ხდიდნენ და უშვებდნენ სტამბის მძიმე ნაწილებს, რომელთა სტამბაში შეტანა ჭიდან არ შეიძლებოდა. სტამბაში იბეჭდებოდა **ლენინისა და სტალინის** ცალკეული ნაწარმოებები და კავკასიის კომიტეტის სხვა გამოცემები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. წერილთა უმრავლესობა **სტალინის** მიერ იწერებოდა ან მისი რედაქციით გამოდიოდა. აქ იბეჭდებოდა, გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, ლენინის „რევოლუციური პროლეტარიატის დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობის“ „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობის“, **სტალინის** „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „ორი შეჯახება“, „ცნობა უმცირეს-უმრავლესობის საერთო სარუსეთო კონფერენციაზე“, აქვე დაიბეჭდა ცალკე ბროშურებად რ.ს.დ.მ.პ. [illegible] მიღებული II ყრილობაზე, რ.ს.დ.მ.პ. წესდება, მიღებული III ყრილობაზე. იბეჭდებოდა პროკლამაციები მოწოდებები და სხვა.

სტამბაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ი. ი. ჩოდრიშვილი, მ. ზ. ბოჭორიძე, ა. ი. ჩოდრიშვილი, ე. ა. კალანდაძე, გ. ზ. ლელაშვილი, მ. ნ. მაღრაძე, დ. მ. როსტომაშვილი. სტამბის მაღლა სცხოვრობდა ბაბე ლაშაძე - ბოჭორიძე მის ოთახში იყო საიდუმლოდ გაკეთებული ელექტრო ზარი, რომელიც სტამბაში გადიოდა. თუ ვინმე საშიში ან საეჭვო პირი გამოჩნდებოდა, ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე აძლევდა სიგნალს მუშაობა შეეჩერებინათ. შემდეგ კი აძლევდა მუშაობის განახლების სიგნალს.

ამავე შენობაში 1906 წლის მარტიდან ხდებოდა სამხედრო საქმის ინსტრუქტორთა ჯგუფის მომზადება და კეთდებოდა ასაფეთქებელი ყუმბარები. ჯგუფი სწავლობდა პარტიზანული, ქუჩის ბრძოლების მეთოდებს. ამ ჯგუფში შედიოდნენ: მ. ბოჭორიძე, ნ. ალაჯალოვა, კ. ჩაჩუა და სხვები. სტამბა მუშაობდა 1906 წლის 28 (15) აპრილამდე.

1906 წლის 28 (15) აპრილს მეფის პოლიციამ სტამბას მიაგნო, მეფის გამხეცებულმა ჟანდარმთა ბრბომ სახლი გადასწვა. სტამბა მთლად ააფეთქეს და გაანადგურეს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით და პირადად ლ. პ. ბერიას ინიციატივით სტამბა აღდგენილია თავისი პირველი სახით. დამთვალიერების გასაადვილებლად გაკეთებული აქვს რკინის ხვეული კიბე. სტამბა დიდ ინტერესს წარმოადგენს ჩვენი გმირული პარტიის ერთგული შვილების იმ თავდადებული მუშაობის შესასწავლად, რომელსაც ეწეოდნენ იატაკქვეშ მშრომელთა კეთილდღეობისათვის, რის შედეგად დღეს მსოფლიოს ერთ-მეექვსედზე შექმნილია სრული დემოკრატია და საამური ცხოვრება.

დ. წვერიკაზმაშვილი.

ტირაჟი 4.000

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია, მარის ქ. № 1.

მთავლიტი ბ — 1[illegible]3